ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 13

6 ოქტომბერი 2023 წელი

ვარციხის ადმინისტრაციული ერთეული

ბაღდათის მუნიციპალიტეტი

10:00 საათი

2023 წლის 6 ოქტომბერს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს წევრები: ნოდარ გიორგიძე, გურამი კიკნაველიძე, გია სახამბერიძე, სიმონ ჭოლოკავა, გვანცა გრძელიძე, ზაზა ზივზივაძე, შალვა მშვილდაძე, ირინა ტყეშელაშვილი, თეა გოგნაძე, ბიძინა ჯაბიძე, კახა კოხოძე, ალექსანდრე ფახურიძე, ნინო ფურცელაძე, იოსებ კვირიკაშვილი, გურამ ჩხეიძე, მაია კბილაშვილი, გიორგი კოტორეიშვილი, მურად ბურჯანაძე, შადიმან გორგოძე, დიომიდე კიკნაველიძე.

სულ: 20 საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა: თორნიკე გაჩეჩილაძე, ზვიად გუმბერიძე, ჯუმბერ რობაქიძე, ირაკლი გოგსაძე, ვლადიმერ წიქორიძე, მაკა მესხი, ნინო კვირიკაძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

კახა გოგნაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

საკრებულოს აპარატი:

ნოდარ ებანოიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი.

ირინე აბაიშვილი -საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურდიულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში.

ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20 საკრებულოს წევრმა.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა ნოდარ გიორგიძე - საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს თავმჯდომარე, რომელმაც აღნიშნა, რომ შემოსულია მუნიციპალიტეტის მერიიდან მომართვა, სადაც მოთხოვნილია მივცეთ თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს, ხელი მოაწეროს ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს მიერ მიღებული „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“ . როგორც ნ. გიორგიძემ აღნიშნა „მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 92-ე მუხლი იძლევა საშუალებას მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილოს აღნიშნული საკითხი და გასცეს შესაბამისი თანხმობა“, რისთვისაც მოწვეულია 6 ოქტომბერს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა“. ნ. გიორგოძემ ბიუროს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

დღის წესრიგი

1.ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს მიერ მიღებული „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“ შეთანხმებაზე

ხელმოწერის და მასზე შეერთების შესახებ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

მომხს. გვანცა გრძელიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა:

მომხრე- 20 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 1. ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს მიერ მიღებული „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“ შეთანხმებაზე ხელმოწერის და მასზე შეერთების შესახებ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

განკარგულების პროექტი და ინფორმაცია საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრებს მიაწოდა, გვანცა გრძელიძემ - მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება **N 55** განკარგულება:**გ-67. 6723279001** თარიღი:**06/10/2023** (განკარგულება თან ერთვის);

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 20 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე: ნოდარ გიორგიძე